სფფ-ის საფეხბურთო აგენტის
ეროვნული დებულება
2023

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები:..... 3
თავი **I** ზოგადი წესები..... 6
მუხლი **1.** მიზნები 6
მუხლი **2.** მოქმედების სფერო..... 6
თავი **II** საფეხბურთო აგენტის სტატუსის მოპოვება..... 7
მუხლი **3.** ზოგადი პირობები..... 7
მუხლი **4.** უფლებამოსილების მოთხოვნების დაკმაყოფილება..... 8
თავი **III** საფეხბურთო აგენტის საქმიანობა..... 8
მუხლი **5.** ზოგადი პირობები..... 8
მუხლი **6.** წარმომადგენლობა 9
მუხლი **7.** არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა 11
მუხლი **8.** მომსახურების საფასური **-** ზოგადი პრინციპები..... 12
მუხლი **9.** მომსახურების საფასურის ჭერი 13
მუხლი **10.** უფლებები და ვალდებულებები 15
მუხლი **11.** მიმდინარე სალიცენზიო მოთხოვნებთან შესაბამისობა..... 18
თავი **IV** კლიენტის უფლებები და ვალდებულებები 19
მუხლი **12.** საფეხბურთო აგენტების გამოყენება..... 19
თავი **V** გასაჯაროვება და გამოქვეყნება..... 20
მუხლი **13.** გასაჯაროვება**/disclosure** და გამოქვეყნება 20
თავი **VI** დავები 21
მუხლი **14.** იურისდიქცია..... 21
თავი **VII** სადისციპლინო საკითხები 21
მუხლი **15.** კომპეტენცია და აღსრულება..... 21
თავი **VIII** დასკვნითი დებულებები 23
მუხლი **16.** გარდამავალი დებულებები 23
მუხლი **17.** განუხილავი საკითხები..... 24
მუხლი **18.** ძალაში შესვლა..... 24

ტერმინთა განმარტებები:

წინამდებარე დებულებების მიზნებისთვის გამოიყენება ფიფა-ს და სფფ-ის წესდებებში, ფიფას და სფფ-ის ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულებებში, ასევე ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინთა განმარტებები:

ამყვანი სუბიექტი: კლუბი, წევრი ასოციაცია ან ერთპიროვნული ლიგა, რომელმაც შეიძლება აიყვანოს ფეხბურთელი ან მწვრთნელი.

ანაზღაურება: მთლიანი ფინანსური ანაზღაურება გაწეული სამუშაოსთვის, რომელიც განსაზღვრულია შეთანხმებულ შრომით ხელშეკრულებაში და მოიცავს ხელფასს, ხელშეკრულების გაფორმების თანხას, ასევე გარკვეული პირობების შესრულებისას მიღებულ ნებისმიერ თანხას (მაგალითად, ლოიალობასა თუ შედეგებზე დამოკიდებულ პრემიებს). ეჭვის გამოსარიცხად, მთლიანი ფინანსური ანაზღაურება არ მოიცავს ნებისმიერ სამომავლო სატრანსფერო თანხას და ნებისმიერ არასახელფასო სარგებელს, როგორიცაა მანქანის, დაბინავების ან სატელეფონო მომსახურების უზრუნველყოფა.

გამშვები სუბიექტი: კლუბი, წევრი ასოციაცია ან ერთპიროვნული ლიგა, რომელსაც ტოვებს ფეხბურთელი ან მწვრთნელი, რათა დასაქმდეს ან/და დარეგისტრირდეს ამყვანი სუბიექტის მიერ.

განსაზღვრული ტრანზაქცია: ტრანზაქცია, რომლის ყველა ჩართული მხარე განსაზღვრული და იდენტიფიცირებულია.

დაკავშირება: (i) კლიენტთან ნებისმიერი პირდაპირი ფიზიკური კონტაქტი, ან კონტაქტი ნებისმიერი სახის ელექტრონული საშუალებით; (ii) ნებისმიერი პირდაპირი ან ირიბი კონტაქტი სხვა პირთან ან ორგანიზაციასთან, რომელიც დაკავშირებულია კლიენტთან, როგორიცაა ოჯახის წევრი ან მეგობარი; ან (iii) ნებისმიერი მოქმედება, სადაც საფეხბურთო აგენტი იყენებს ან მიმართავს სხვა პირს ან ორგანიზაციას, რათა დაუკავშირდეს კლიენტს მათი სახელით ისე, როგორც მითითებულია ზემოთ პუნქტებში (i) ან (ii).

დაკავშირებული საფეხბურთო აგენტი: საფეხბურთო აგენტი დაკავშირებულია სხვა საფეხბურთო აგენტთან, თუ: (i) ისინი არიან თანამშრომლები ან კონტრაქტით დაქირავებული პირები ერთი და იმავე სააგენტოში, რომლის საშუალებითაც ხდება საფეხბურთო მომსახურების გაწევა; (ii) ორივე არის დირექტორი, მეწილე ან თანამფლობელი ერთი და იგივე სააგენტოში, რომლის საშუალებითაც ხდება საფეხბურთო მომსახურების გაწევა; (iii) ისინი არიან ერთმანეთზე დაქორწინებული, ოჯახური პარტნიორები, ერთმანეთის დედმამიშვილები, ან მშობელი და შვილი, ან აყვანილი შვილი; ან (iv) მათ გააჩნიათ კონტრაქტული ან სხვა სახის ოფიციალური თუ არაოფიციალური შეთანხმება, ერთ ან მეტ შემთხვევაში ითანამშრომლონ ნებისმიერი მომსახურების გაწევის მიზნით, ან გაინაწილონ

საფეხბურთო აგენტის მომსახურებების ნებისმიერი ნაწილიდან მიღებული შემოსავალი ან მოგება.

დებულებები: საფეხბურთო აგენტის წინამდებარე დებულებები, რომლებიც პერიოდულად განახლდება.
ერთპიროვნული ლიგა: წევრ ასოციაციასთან აფილირებული პირი, რომელიც ატარებს ლიგას (ლიგებს) და წარმოადგენს მისი კლუბების საერთო ინტერესებს (მაგალითად, მოქმედებს როგორც ყველა კლუბის ფეხბურთელთა დამსაქმებელი). ინდივიდი: ფეხბურთელი ან მწვრთნელი.

ინტერესი: (i) იურიდიული პირის ნებისმიერი სარფიანი მფლობელობა, რომლითაც ხორციელდება ამ პირის შესაბამისი საქმიანობები, გარდა ჩვეულებრივი და თავისუფლად ხელმისაწვდომი არაგასხვისებადი პირადი წევრობისა, რომელიც მფლობელს ანიჭებს ერთ ხმას კლუბის საქმიანობაში; და/ან (ii) ისეთი სტატუსის ქონა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, პირდაპირ თუ ირიბად, და ოფიციალურად თუ არაოფიციალურად განახორციელოს მატერიალური, ფინანსური, კომერციული, ადმინისტრაციული, მენეჯერული ან სხვა ზეგავლენა ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობაზე.

კლიენტი: წევრი ასოციაცია, კლუბი, ფეხბურთელი, მწვრთნელი, ან ერთპიროვნული ლიგა, რომელმაც შეიძლება დაიქირაოს საფეხბურთო აგენტი, რათა მიიღოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება.

პლატფორმა: ფიფა-ს მიერ მართული ციფრული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ლიცენზირების პროცესი, დავების გადაწყვეტის პროცესი, მუდმივი პროფესიული განვითარება (მპგ) და ანგარიშგება.

სააგენტო: ორგანიზაცია, სუბიექტი, ფირმა ან კერძო კომპანია, რომელიც ქირაობს, შეადგენს, ასაქმებს ან სხვაგვარად მოქმედებს, როგორც ერთი ან მეტი საფეხბურთო აგენტის საქმიანობის მწარმოებელი.

საფეხბურთო აგენტი: ფიზიკური პირი, რომელიც ლიცენზირებულია ფიფა-ს მიერ, რომ შეასრულოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება.

საფეხბურთო აგენტის მომსახურება: ფეხბურთთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც ხორციელდება კლიენტისთვის ან მისი სახელით, და მოიცავს ნებისმიერ მოლაპარაკებებს, აღნიშნულ მოლაპარაკებებთან ან მათ მომზადებასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას, ან სხვა შესაბამის ქმედებას, რომლის მიზანი, საგანი და/ან განზრახვაა ტრანზაქციის განხორციელება.
სფფ-ის შმდ: სფფ-ის შუამავლებთან მუშაობის დებულებები.

სხვა მომსახურება: საფეხბურთო აგენტის მიერ კლიენტისთვის ან მისი სახელით გაწეული ნებისმიერი მომსახურება, რომელიც განსხვავდება საფეხბურთო აგენტის მომსახურებისგან და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: იურიდიული რჩევები, ფინანსური დაგეგმვა, სკაუტინგი, კონსულტაციები, საიმიჯო უფლებების მართვა და კომერციული ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოება.

ტრანზაქცია: (i) ფეხბურთელის კლუბში ან ერთპიროვნულ ლიგაში დასაქმება, რეგისტრაცია ან დერეგისტრაცია; (ii) მწვრთნელის კლუბში, ერთპიროვნულ ლიგაში ან წევრ ასოციაციაში დასაქმება; (iii) ფეხბურთელის რეგისტრაციის ერთი კლუბიდან მეორეში გადატანა; (iv) ინდივიდის დასაქმების პირობების შექმნა, შეწყვეტა ან შეცვლა. უპგ: უწყვეტი პროფესიული განვითარება.

ფსტდ: ფიფა-ს ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულებები, რომლებიც განახლდება პერიოდულად. შმდ: ფიფა-ს შუამავლებთან მუშაობის დებულებები.

წარმომადგენლობის ხელშეკრულება: წერილობითი შეთანხმება, რომლის მიზანია საფეხბურთო აგენტის მომსახურების გასაწევად იურიდიული ურთიერთობის დამყარება.

ფიზიკურ პირთან დაკავშირებული ტერმინები მიესადაგება ორივე სქესს. მხოლობითში გამოყენებული ტერმინი ასევე მიესადაგება მრავლობით ფორმას და - პირიქით.

თავი I ზოგადი წესები

მუხლი 1. მიზნები

1. ფიფა-ს გააჩნია საწესდებო ვალდებულება, დაარეგულიროს საფეხბურთო სატრანსფერო სისტემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. საფეხბურთო სატრანსფერო სისტემის ძირითადი მიზნებია:
   ა) პროფესიონალ მოთამაშეებსა და კლუბებს შორის საკონტრაქტო სტაბილურობის დაცვა;
   ბ) ახალგზარდა მოთამაშეთა წვრთნის წახალისება;
   გ) ელიტურ და მასობრივ ფეხბურთს შორის სოლიდარული სულისკვეთების წახალისება;
   დ) არასრულწლოვანთა დაცვა;
   ე) კონკურენტული ბალანსის დაცვა;
   ვ) სპორტულ შეჯიბრთა რეგულარობის უზრუნველყოფა.
2. საფეხბურთო აგენტის საქმიანობის რეგულირება უზრუნველყოფს საფეხბურთო აგენტის ქცევის თავსებადობას როგორც საფეხბურთო სატრანსფერო სისტემის ძირითად მიზნებთან, ისე შემდეგ მიზნებთან:
   ა) საფეხბურთო აგენტის საქმიანობისთვის მინიმალური პროფესიული და ეთიკური სტანდარტების განსაზღვრა და ამაღლება.
   ბ) საფეხბურთო აგენტების მიერ კლიენტებისთვის გაწეული მომსახურების ხარისხიანობის დაცვა სამართლიანი და გონივრული საფასურის სანაცვლოდ, რომელიც ვრცელდება თანაბრად.
   გ) ინტერესთა კონფლიქტების შეზღუდვით კლიენტების დაცვა არაეთიკური ქცევისგან.
   დ) ფინანსური და ადმინისტრაციული გამჭვირვალობის ამაღლება.
   ე) მოთამაშეთა დაცვა, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება და ინფორმაცია საფეხბურთო სატრანსფერო სისტემის თაობაზე.
   ვ) მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და კლუბებს შორის საკონტრაქტო სტაბილურობის გამყარება; და
   ზ) შეურაცხმყოფელი, გადაჭარბებული და სპეკულაციური პრაქტიკის პრევენცია.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულებები არეგულირებს საფეხბურთო აგენტის საქმიანობას სფფ-ის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიის ფარგლებში და ვრცელდება:
   ა) ეროვნული მასშტაბის მქონე ყველა წარმომადგენლობის ხელშეკრულებაზე; ან

ბ) ეროვნულ ტრანსფერთან ან ეროვნულ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებებზე.

2. წარმომადგენლობის ხელშეკრულება არის ეროვნული მასშტაბის, როდესაც:
   ა) ის არეგულირებს სფფ-ის იურისდიქციისა და ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებულ ეროვნულ ტრანსფერთან დაკავშირებულ, განსაზღვრულ ტრანზაქციას (ან მწვრთნელის ტრანსფერს სფფ-სთან აფილირებული ერთი კლუბიდან მეორეში, ან სფფ-სთან აფილირებულ კლუბსა და საქართველოს ნაკრებს შორის); ან
   ბ) ის არეგულირებს საფეხბურთო აგენტის ერთზე მეტ განსაზღვრულ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რომლიდანაც ერთ-ერთი უკავშირდება სფფ-ის იურისდიქციისა და ტერიტორიის ფარგლებში განხორციელებულ ეროვნულ ტრანსფერს (ან მწვრთნელის ტრანსფერს სფფ-სთან აფილირებული ერთი კლუბიდან მეორეში ან სფფ-სთან აფილირებულ კლუბსა და საქართველოს ნაკრებს შორის).
3. წინამდებარე დებულებები ასევე ვრცელდება წარმომადგენლობის ხელშეკრულებებზე, რომლებიც არეგულირებენ საფეხბურთო აგენტის მომსახურებას, რომელიც არ არის დაკავშირებული საერთაშორისო ტრანსფერთან დაკავშირებულ განსაზღვრულ ტრანზაქციასთან და წარმომადგენლობის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში კლიენტი რეგისტრირებულია ან ბინადრობს სფფ-ის იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე.

თავი **II** საფეხბურთო აგენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი **3.** ზოგადი პირობები

1. ფიზიკური პირი შესაძლებელია გახდეს საფეხბურთო აგენტი ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების 4-10 მულხებით დადგენილი პროცედურების გავლით.
2. პირი, რომელსაც წარსულში ფიფა-ს მოთამაშეთა აგენტის დებულებების თანახმად მოპოვებული აქვს ლიცენზია, თავისუფლდება ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის გამოცდის ჩაბარების საჭიროებისგან, თუ ის აკმაყოფილებს ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების 23-ე მუხლით დადგენილ პირობებს.
3. ფიფა-ს მიერ გაცემული ლიცენზია საფეხბურთო აგენტს ანიჭებს უფლებას, სფფ-ის ტერიტორიაზე გასწიოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება. საფეხბურთო აგენტი, რომელიც სფფ-ის ტერიტორიაზე ეწევა საფეხბურთო აგენტის მომსახურებას, ექვემდებარება წინამდებარე დებულებებს და სფფ-ის ყველა იმ დებულებას, რომელიც ვრცელდება საფეხბურთო აგენტებზე.

4. ფიფა-ს გენერალური სამდივნო პასუხისმგებელია ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი განაცხადის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე.
5. ფიფა-ს მიერ გაცემული ლიცენზია საფეხბურთო აგენტს უფლებას ანიჭებს, განახორციელოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება სფფ-ის ტერიტორიაზე. საფეხბურთო აგენტი, რომელიც სფფ-ის ტერიტორიაზე ახორციელებს საფეხბურთო აგენტის საქმიანობას, ექვემდებარება წინამდებარე დებულებებს და სფფ-ის ყველა იმ დებულებას, რომელიც ვრცელდება საფეხბურთო აგენტებზე.

მუხლი **4.** უფლებამოსილების მოთხოვნების დაკმაყოფილება

1. სფფ-მ ფიფა-ს უნდა აცნობოს ყველა ბრალდებისა თუ ეჭვის შესახებ საფეხბურთო აგენტის ან განმცხადებლის მიერ ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების მე-5 მუხლით დადგენილი უფლებამოსილების მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით.
2. სფფ-ის ხელთ არსებული ყველა შესაბამისი ინფორმაციის, ან ფიფა-ს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენით, სფფ-მ ფიფა-ს დახმარება უნდა გაუწიოს ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებათა მე-5 მუხლით დაგენილი უფლებამოსილების მოთხოვნების პოტენციური დაუკმაყოფილებლობის ნებისმიერი შემთხვევის გამოძიებასთან დაკავშირებით.

თავი **III** საფეხბურთო აგენტის საქმიანობა

მუხლი **5.** ზოგადი პირობები

1. მხოლოდ საფეხბურთო აგენტს შეუძლია გასწიოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება.
2. საფეხბურთო აგენტი ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდეს ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებათა მე-5 მუხლით დადგენილ უფლებამოსილების მოთხოვნებს.
3. საფეხბურთო აგენტს შეუძლია აწარმოოს საქმიანობა სააგენტოს მეშვეობით. სააგენტოს მიერ დაქირავებული თანამშრომელი ან კონტრაქტორი, რომელიც არ არის საფეხბურთო აგენტი, არ არის უფლებამოსილი გასწიოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება ან დაუკავშირდეს კლიენტს წარმომადგენლობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. საფეხბურთო აგენტი არის სრულად პასუხისმგებელი მისი სააგენტოს, ასევე ამ სააგენტოს თანამშრომლების, კონტრაქტორების ან სხვა წარმომადგენლების ქმედებებზე, თუ ისინი არღვევენ წინამდებარე დებულებებს.
4. შემდეგ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არ უნდა გააჩნდეთ ინტერესი საფეხბურთო აგენტის ან მისი სააგენტოს ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებით:

ა) კლიენტები

ბ) ნებისმიერი პირი, რომელიც ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების მე-5 მუხლის თანახმად არ არის უფლებამოსილი, გახდეს საფეხბურთო აგენტი.

გ) ნებისმიერი პირი ან სუბიექტი, რომელიც ფსტდ-ის 18bis ან 18ter მუხლების დარღვევით, პირდაპირ ან ირიბად ფლობს ნებისმიერ უფლებას ფეხბურთელების რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

მუხლი **6.** წარმომადგენლობა

1. საფეხბურთო აგენტმა კლიენტს საფეხბურთო აგენტის მომსახურება უნდა გაუწიოს მხოლოდ ამ კლიენტთან წარმომადგენლობის ხელშეკრულების წერილობითი გაფორმების შემდეგ.
2. მხოლოდ საფეხბურთო აგენტს შეუძლია დაუკავშირდეს პოტენციურ კლიენტს ან გააფორმოს კლიენტთან წარმომადგენლობის ხელშეკრულება საფეხბურთო აგენტის მომსახურების გაწევის თაობაზე.
3. საფეხბურთო აგენტსა და ინდივიდს შორის გაფორმებული წარმომადგენლობის ხელშეკრულების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. ვადის გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ ახალი წარმომადგენლობითი ხელშეკრულების გაფორმებით. ავტომატურად გაგრძელების ნებისმიერი დებულება, ან სხვა ნებისმიერი დებულება, რომელიც გულისხმობს წარმომადგენლობის ხელშეკრულების მაქსიმალური ვადის გახანგრძლივებას, ჩაითვლება ბათილად.
4. დროის ნებისმიერ მომენტში საფეხბურთო აგენტს შეუძლია კონკრეტულ ინდივიდთან მხოლოდ ერთი წარმომადგენლობის ხელშეკრულების გაფორმება. ინდივიდთან წარმომადგენლობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ან არსებული წარმომადგენლობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანამდე, საფეხბურთო აგენტი ვალდებულია:
   ა) წერილობით აცნობოს ინდივიდს, რომ მან უნდა გაითვალისწინოს წარმომადგენლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაციის გავლა; და
   ბ) მიიღოს ინდივიდისგან წერილობითი დასტური იმის შესახებ, გადაწყვიტა თუ არა მან ამგვარი დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაციის მიღება.
5. ამყვან ან გამშვებ სუბიექტსა და საფეხბურთო აგენტს შორის გაფორმებულ წარმომადგენლობის ხელშეკრულებას არ გააჩნია ხანგრძლივობის მაქსიმალური ვადა.
6. საფეხბურთო აგენტმა შესაძლებელია აწარმოოს არაერთი წარმომადგენლობის ხელშეკრულება ერთი და იმავე ამყვან ან გამშვებ სუბიექტთან, თუ ეს ხელშეკრულებები ეხება სხვადასხვა ტრანზაქციას.
7. წარმომადგენლობის ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ ის მოიცავს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:
   ა) მხარეთა სახელებს
   ბ) ხანგრძლივობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გ) საფეხბურთო აგენტისთვის გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობას
დ) საფეხბურთო აგენტის გასაწევი მომსახურების ხასიათს
ე) მხარეთა ხელმოწერებს.

8. საფეხბურთო აგენტმა შეიძლება გაუწიოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება და სხვა მომსახურება ტრანზაქციაში მონაწილე მხოლოდ ერთ მხარეს, გარდა შემდეგი გამონაკლისი შემთხვევისა:
   ა) ნებადართული ორმაგი წარმომადგენლობა: საფეხბურთო აგენტმა შეიძლება გაუწიოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება და სხვა მომსახურება ინდივიდსა და ამყვან სუბიექტს ერთი და იგივე ტრანზაქციის ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ ორივე კლიენტის მხრიდან არსებობს წინასწარი მკაფიო წერილობითი თანხმობა.

9. კერძოდ, ერთი და იგივე ტრანზაქციის დროს საფეხბურთო აგენტს არ შეუძლია გაუწიოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება ან სხვა მომსახურება:
   ა) გამშვებ სუბიექტსა და ინდივიდს; ან
   ბ) გამშვებ სუბიექტსა და ამყვან სუბიექტს; ან
   გ) ტრანზაქციის ყველა მონაწილე მხარეს.

10. საფეხბურთო აგენტს და დაკავშირებულ საფეხბურთო აგენტს ერთი და იგივე ტრანზაქციის ფარგლებში არ შეუძლიათ გაუწიონ საფეხბურთო აგენტის ან სხვა მომსახურება სხვადასხვა კლიენტს, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. საფეხბურთო აგენტის მომსახურების გაწევის შედეგად განხორციელებული ტრანზაქციის ფარგლებში გაფორმებულ ნებისმიერ სატრანსფერო თუ შრომით ხელშეკრულებაში მოყვანილი უნდა იყოს საფეხბურთო აგენტის სახელი და გვარი, კლიენტის ვინაობა, საფეხბურთო აგენტის ფიფა-ს ლიცენზიის ნომერი და მისი ხელმოწერა.

12. კლიენტს შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები და განახორციელოს ტრანზაქცია საფეხბურთო აგენტის ჩართულობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ეს ყოველივე ცხადად უნდა იყოს დაფიქსირებული შესაბამის სატრანსფერო თუ შრომით ხელშეკრულებაში.

13. წარმომადგენლობის ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება, რომელიც:
   ა) ზღუდავს ინდივიდის შესაძლებლობას, დამოუკიდებლად აწარმოოს მოლაპარაკებები და გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება საფეხბურთო აგენტის ჩართულობის გარეშე; და/ან
   ბ) ითვალისწინებს ინდივიდის დასჯას იმ შემთხვევაში, თუ მან დამოუკიდებლად აწარმოა მოლაპარაკება და/ან შეათანხმა შრომითი ხელშეკრულება საფეხბურთო აგენტის ჩართულობის გარეშე,
   ითვლება ბათილად.

14. წარმომადგენლობის ხელშეკრულების გაწყვეტა შეუძლია ნებისმიერ მხარეს, ამისი საფუძვლიანი მიზეზის არსებობის შემთხვევაში. მხარემ, რომელიც საფუძვლიანი მიზეზის გარეშე წყვეტს წარმომადგენლობის ხელშეკრულებას, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამ ქმედების შედეგად მიყენებული ნებისმიერი ზარალი. წარმომადგენლობის

ხელშეკრულების გაწყვეტის საფუძვლიან მიზეზად მიიჩნევა გონივრული ვარაუდი, რომ ერთ-ერთი მხარე ვერ შეძლებს შეთანხმებული ვადის განმავლობაში სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას. აღნიშნული მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) საფეხბურთო აგენტის ლიცენზიის გაუქმებას ან შეჩერებას;

ბ) ფეხბურთთან დაკავშირებულ ნებისმიერ აქტივობაში ჩართულობის აკრძალვას;

გ) სულ მცირე ერთ მთლიან სარეგისტრაციო პერიოდში ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე ახალი მოთამაშეების რეგისტრაციის აკრძალვას.

მუხლი **7.** არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა

1. საფეხბურთო აგენტის მომსახურების გაწევის მიზნით არასრულწლოვანთან ან მის სამართლებრივ მეურვესთან დაკავშირება (ან/და წარმომადგენლობის ხელშეკრულების შემდგომი გაფორმება) უნდა მოხდეს არაუმეტეს 6 თვით ადრე, სანამ არასრულწლოვანს მისი დასაქმების ქვეყანაში თუ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შეეძლება თავისი პირველ პროფესიული კონტრაქტის გაფორმება. მსგავსი დაკავშირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ არასრულწლოვნის სამართლებრივი მეურვის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.
2. საფეხბურთო აგენტმა, რომელსაც სურს გახდეს არასრულწლოვნის წარმომადგენელი ან კლუბის წარმომადგენელი ტრანზაქციაში, რომელშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი, პირველ რიგში წარმატებით უნდა გაიაროს არასრულწლოვნებთან დაკავშირებული შესაბამისი უპგ-ის კურსი და დააკმაყოფილოს ნებისმიერი საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც მოქმედებს არასრულწლოვნების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით იმ წევრი ასოციაციის ქვეყანასა თუ ტერიტორიაზე, სადაც იქნება დასაქმებული არასრულწლოვანი.
3. საფეხბურთო აგენტსა და არასრულწლოვანს შორის გაფორმებული წარმომადგენლობის ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც:

   ა) წარმომადგენლობის ხელშეკრულება აკმაყოფილებს მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში მოყვანილ მინიმალურ მოთხოვნებს;

   ბ) საფეხბურთო აგენტი აკმაყოფილებს ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებს;

   გ) წარმომადგენლობის ხელშეკრულებას ხელს აწერს არასრულწლოვანი და მისი სამართლებრივი მეურვე იმ ქვეყნის ან ტერიტორიის კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც მიეკუთვნება წევრი ასოციაცია, სადაც დასაქმებული იქნება არასრულწლოვანი.
4. 1-ელი პუნქტის ნებისმიერი დარღვევა ითვალისწინებს სანქციებს, სულ მცირე, ჯარიმისა და საფეხბურთო ლიცენზიის ორი წლით შეჩერების სახით.

მუხლი **8.** მომსახურების საფასური - ზოგადი პრინციპები

1. წარმომადგენლობის ხელშეკრულების თანახმად, საფეხბურთო აგენტს შეუძლია კლიენტისთვის მომსახურების საფასურის დაწესება.
2. საფეხბურთო აგენტისთვის წარმომადგენლობის ხელშეკრულებით დაწესებული მომსახურების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ კლიენტის მიერ. კლიენტი არ არის უფლებამოსილი, ხელშეკრულებით ან სხვაგვარად გადასცეს მესამე მხარეს უფლებამოსილება ამგვარი გადახდის განხორციელების თაობაზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი პრინციპის ერთადერთი გამონაკლისი არის შემთხვევა, როდესაც საფეხბურთო აგენტი წარმოაგდენს ინდივიდს და მისი შეთანხმებული წლიური ანაზღაურება არის 500,000 ლარზე (ან მის ეკვივალენტზე) ნაკლები, ნებისმიერი პირობითი გადასახადის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ამყვან სუბიექტს შეუძლია შეუთანხმდეს ინდივიდს წარმომადგნელობის ხელშეკრულების შესაბამისად ტრანზაქციისთვის მომსახურების საფასურის მისი საფეხბურთო აგენტისთვის გადახდის თაობაზე. აქვე უნდა დაკმაუოფილდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:
    a. ამყვანი სუბიექტის მიერ ინდივიდის მხრიდან მომსახურების საფასურის გადახდამ არ უნდა იქონიოს რაიმე გავლენა საფეხბურთო აგენტის ფიდუციალურ მოვალეობაზე ინდივიდის მიმართ. ამასთან, ყოველივე ზემოთხსენებულმა არ უნდა წარმოქმნას საფეხბურთო აგენტის დამოკიდებულება ან სუბორდინაცია ამყვან სუბიექტთან მიმართებით.
    b. ამყვანი სუბიექტის მიერ ინდივიდის სახელით გადახდილი მომსახურების საფასური არ უნდა აღემატებოდეს საფეხბურთო აგენტსა და ინდივიდს შორის გაფორმებული წარმომადგენლობითი ხელშეკრულებით დადგენილ მომსახურების საფასურს.
    c. ამყვანმა სუბიექტმა არ უნდა გამოაკლოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გადახდილი მომსახურების საფასური ინდივიდის ანაზღაურებას.
4. საფეხბურთო აგენტისთვის მომსახურების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ინვოისის საფუძველზე.
5. საფეხბურთო აგენტი უფლებამოსილია მიიღოს მომსახურების საფასური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფასური შეესაბამება წარმომადგენლობის ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრულ მომსახურებას და წარმომადგენლობის ხელშეკრულება ძალაშია შესაბამისი საფეხბურთო აგენტის მომსახურების გაწევის მომენტში.
    ა) თუ შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა აღემატება მასთან დაკავშირებული წარმომადგენლობის ხელშეკრულების ხანგრძლივობას, საფეხბურთო აგენტს შეუძლია გაწეული მომსახურების საფასური მიიღოს წარმომადგენლობის კონტრაქტის ვადის გასვლის შემდგომ იმ პირობით, თუ ინდივიდის დასაქმების ხელშეკრულება კვლავ ძალაშია და ყოველივე ზემოაღნიშნული წარმომადგენლობის ხელშეკრულებაში არის გარკვევით შეთანხმებული კლიენტთან.

6. ნებისმიერი მომსახურების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შესაბამისი სარეგისტრაციო პერიოდის დასრულების შემდგომ ეტაპობრივად, ყოველ სამ თვეში ერთხელ, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
7. მხოლოდ ინდივიდის მიერ რეალურად მიღებული ანაზღაურება ექვემდებარება მომსახურების საფასურის გადახდას, რომელიც გამოითვლება პროპორციულად.
8. თუ შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა 6 თვეზე ნაკლებია, გადახდა უნდა მოხდეს ერთიანად, შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას.
9. საფეხბურთო აგენტმა შეიძლება არ მიიღოს მომსახურების საფასური არასრულწლოვანთან დაკავშირებული საფეხბურთო აგენტის მომსახურების გაწევისას, თუ აღნიშნული მოთამაშე არ გააფორმებს პირველ ან შემდგომ პროფესიულ კონტრაქტს იმ ქვეყნის ან ტერიტორიის კანონმდებლობის თანახმად, რომელსაც მიეკუთვნება წევრი ასოციაცია, სადაც დასაქმებული იქნება არასრულწლოვანი.
10. თუ საფეხბურთო აგენტი მოქმედებს ამყვანი სუბიექტისა და ინდივიდის სახელით ერთსა და იმავე ტრანზაქციაში, წინამდებარე დებულებების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად (ნებადართული ორმაგი წარმომადგენლობა), ამყვან სუბიექტს შეუძლია გადაიხადოს მთლიანი მომსახურების საფასურის არაუმეტეს 50 პროცენტისა.
11. გამშვებმა სუბიექტმა უნდა გადაუხადოს საფეხბურთო აგენტს მომსახურების საფასური გამშვები სუბიექტისთვის კუთვნილი სატრანსფერო თანხის თითოეული მიღებული ნაწილისთვის. გამშვებმა სუბიექტმა დროულად უნდა აცნობოს საფეხბურთო აგენტს აღნიშნული თანხის თითოეული ნაწილის მიღების თაობაზე.
12. საფეხბურთო აგენტს არ აქვს უფლება დროზე ადრე მიიღოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური, როდესაც:
    a. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ინდივიდი გადადის სხვა ამყვან სუბიექტთან; ან
    b. შრომითი ხელშეკრულება ნაადრევად იქნა შეწყვეტილი ინდივიდის მიერ საფუძვლიანი მიზეზის გარეშე და აღნიშნული ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტში საფეხბურთო აგენტი კვლავ წარმოადგენს ინდივიდს.
13. საფეხბურთო აგენტისთვის ყველა მომსახურების საფასურის გადახდა უნდა მოხდეს FIFA Clearing House ის მეშვეობით, FIFA Clearing House-ის დებულებების შესაბამისად.
    ა) თუ FIFA Clearing House-ის დებულებები არ არეგულირებს მომსახურების საფასურის გადახდის პროცესს წინამდებარე დებულებების ძალაში შესვლის მომენტში, გადახდა უნდა მოხდეს პირდაპირ საფეხბურთო აგენტისთვის, სანამ FIFA Clearing House-ის დებულებები არ დაარეგულირებს მომსახურების საფასურის გადახდის პროცესს.

მუხლი **9.** მომსახურების საფასურის ჭერი

1. საფეხბურთო აგენტის მიერ გაწეული მომსახურებისთვის საფეხბურთო აგენტისთვის გადასახდელი მომსახურების საფასურის გაანგარიშება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) როდესაც საფეხბურთო აგენტი წარმოადგენს ინდივიდს ან ამყვან სუბიექტს: ინდივიდის ანაზღაურების საფუძველზე.

ბ) როდესაც საფეხბურთო აგენტი წარმოადგენს გამშვებ სუბიექტს: შესაბამისი ტრანზაქციით გათვალისწინებული სატრანსფერო თანხის საფუძველზე.

2. ტრანზაქციის ფარგლებში საფეხბურთო აგენტის მომსახურების საფასურის მაქსიმალური ოდენობა, მიუხედავად იმისა თუ რამდენი საფეხბურთო აგენტი გასწევს საფეხბურთო აგენტის მომსახურებას კონკრეტული კლიენტისთვის, შეადგენს:

კლიენტი	მომსახურების საფასურის ჭერი	
	ინდივიდის წლიური ანაზღაურება შეადგენს 500,000 ლარს (ან მის ეკვივალენტს) ან ნაკლებს	ინდივიდის წლიური ანაზღაურება აღემატება 500,000 ლარს (ან მის ეკვივალენტს)
ინდივიდი	ინდივიდის ანაზღაურების 5%	ინდივიდის ანაზღაურების 3%
ამყვანი სუბიექტი	ინდივიდის ანაზღაურების 5%	ინდივიდის ანაზღაურების 3%
ამყვანი სუბიექტი ან ინდივიდი (ნებადართული ორმაგი წარმომადგენლობა)	ინდივიდის ანაზღაურების 10%	ინდივიდის ანაზღაურების 6%
გამშვები სუბიექტი (სატრანსფერო თანხა)	სატრანფერო თანხის 10%	

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ვრცელდება ყოველივე შემდეგი:

ა) ინდივიდის ანაზღაურებიდან მომსახურების საფასურის ზედა ზღვრის გაანგარიშებისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ნებისმიერი პირობითი გადასახადი

ბ) თუ ინდივიდის წლიური ანაზღაურება აღემატება 500,000 ლარს (ან მის ეკვივალენტს), წლიური მეტობის მომსახურების საფასურის ჭერი შეადგენს ინდივიდის ანაზღაურების 3 პროცენტს (თუ საფეხბურთო აგენტი წარმოადგენს ინდივიდს ან ამყვან სუბიექტს), ან 6 პროცენტს (თუ საფეხბურთო აგენტი წარმოადგენს როგორც ინდივიდს, ისე ამყვან სუბიექტს ნებადართული ორმაგი წარმომადგენლობის ფარგლებში).

გ) სატრანსფერო თანხის გაანგარიშებისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული:

i. ფსტდ-ის მე-17 მუხლის ან მე-2 დანართის შესაბამისად ხელშეკრულების დარღვევისთვის გადასახდელი კომპენსაცია;

ii. ნებისმიერი გადაყიდვის საფასური.

3. თუ საფეხბურთო აგენტი ან დაკავშირებული საფეხბურთო აგენტი ტრანზაქციამდე ან მის შემდგომ 24 თვის განმავლობაში ამავე ტრანზაქციაში მონაწილე კლიენტს გაუწევს სხვა მომსახურებას, აღნიშნული მომსახურება მიიჩნევა საფეხბურთო აგენტის მომსახურების ნაწილად საწინააღმდეგოს მტკიცებულების არ არსებობის პირობებში.

4. თუ საფეხბურთო აგენტი ან/და კლიენტი ვერ უარყოფს ამ მუხლის მე-3 პუნქტში ნახსენებ დაშვებას, სხვა მომსახურებისთვის გადახდილი საფასური ჩაითვლება ტრანზაქციის ფარგლებში გაწეული საფეხბურთო აგენტის მომსახურებისთვის გადახდილი საფასურის ნაწილად.

მუხლი **10.** უფლებები და ვალდებულებები

1. საფეხბურთო აგენტი:
   ა) უფლებამოსილია გაუწიოს საფეხბურთო აგენტის მომსახურება ნებისმიერ კლიენტს, რომელიც გააფორმებს წერილობით წარმომადგენლობის ხელშეკრულებას, სადაც დაკმაყოფილებულია წინამდებარე დებულებების მე-6 მუხლში და ფიფა-ს საფეხბურთო აგენტების დებულებების მე-12 მუხლში მოყვანილი მინიმალური მოთხოვნები;
   ბ) არ არის უფლებამოსილი, დაუკავშირდეს სხვა აგენტთან ექსკლუზიური წარმომადგენლობის ხელშეკრულებით მიბმულ კლიენტს, გარდა აღნიშნული ექსკლუზიური წარმომადგენლობის ხელშეკრულების ვადის ბოლო 2 თვისა;
   გ) არ არის უფლებამოსილი, გააფორმოს წარმომადგენლობის ხელშეკრულება სხვა აგენტთან ექსკლუზიური წარმომადგენლობის ხელშეკრულებით მიბმულ კლიენტთან, გარდა აღნიშნული ექსკლუზიური წარმომადგენლობის ხელშეკრულების ვადის ბოლო 2 თვისა.
2. საფეხბურთო აგენტი ვალდებულია:
   ა) ყოველთვის იმოქმედოს საკუთარი კლიენტ(ებ)ის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე;
   ბ) პატივი სცეს და დაემორჩილოს ფიფა-ს კომპეტენტური ორგანოების, კონფედერაციებისა და წევრი ასოციაციების წესდებებს, დებულებებს, დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს;
   გ) საფეხბურთო აგენტის მომსახურების გაწევისას თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტები;
   დ) უზრუნველყოს, რომ მის მიერ გაწეული საფეხბურთო აგენტის მომსახურების შედეგად გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაში მოყვანილი იყოს მისი სახელი და გვარი, ლიცენზიის ნომერი და ხელმოწერა, ასევე კლიენტის სახელი და გვარი;

ე) ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების მე-5 და მე-17 მუხლების თანახმად, ლიცენზიის ფლობისას მუდმივად დააკმაყოფილოს შესაბამისობის მოთხოვნები;

ვ) ფიფა-ს საფეხბურთო აგენტების დებულებების მე-7 და მე-17 მუხლების თანახმად, გადაიხადოს ფიფა-ს ლიცენზიის წლიური საფასური პლატფორმაზე დადგენილ ვადაში;

ზ) ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების მე-9 და მე-17 მუხლების თანახმად დააკმაყოფილოს უპგ-ის მოთხოვნები;

თ) „კ“ ქვეპუნქტისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დააკმაყოფილოს გასაჯაროვებისა და ანგარიშგების მოთხოვნები;

ი) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის ორგანოს წინამდებარე დებულებების, ასევე ფიფას, კონფედერაციის ან წევრი ასოციაციის წესების, დებულებებისა თუ ქცევის კოდექსების ნებისმიერი დარღვევის შესახებ;

კ) ატვირთოს პლატფორმაზე:

i. <u>წარმომადგენლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან, შეცვლიდან ან შეწყვეტიდან 14 დღის ვადაში</u>: შესაბამისი წარმომადგენლობის ხელშეკრულება და პლატფორმაზე მოთხოვნილი ინფორმაცია;

ii. <u>გაფორმებიდან 14 დღის ვადაში</u>: წარმომადგენლობის ხელშეკრულების გარდა კლიენტთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულება (მათ შორის და არა მხოლოდ - სხვა მომსახურებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები) და პლატფორმაზე მოთხოვნილი ინფორმაცია;

iii. <u>მომსახურების საფასურის გადახდიდან 14 დღის ვადაში</u>: პლატფორმაზე მოთხოვნილი ინფორმაცია;

iv. <u>წარმომადგელობის ხელშეკრულების გარდა კლიენტთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საფასურის გადახდიდან 14 დღის ვადაში</u>: პლატფორმაზე მოთხოვნილი ინფორმაცია;

v. <u>მომხდარიდან 14 დღის ვადაში</u>: საფეხბურთო აგენტებს შორის გაფორმებული ნებისმიერი სახელშეკრულებო ან სხვა სახის შეთანხმება ნებისმიერი მომსახურების გაწევაში თანამშრომლობის, ან საფეხბურთო აგენტის მომსახურების რომელიმე ნაწილში შემოსავლების ან მოგების განაწილების თაობაზე;

vi. <u>მომხდარიდან 14 დღის ვადაში</u>: შესაბამისობის მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებაზე შესაძლო გავლენის მქონე ნებისმიერი ინფორმაცია; და

vii. <u>მომხდარიდან 14 დღის ვადაში</u>: კლიენტთან ან საფეხბურთო აგენტთან გაფორმებული ნებისმიერი მორიგების ხელშეკრულება.

ლ) თუ საფეხბურთო აგენტი სააგენტოს მეშვეობით ახორციელებს საქმიანობას, მან პლატფორმაზე უნდა ატვირთოს შემდეგი:

i. <u>სააგენტოს მონაწილეობით განხორციელებული პირველი ტრანზაქციიდან 14 დღის ვადაში</u>: მისი მფლობელობითი სტრუქტურა, მეწილეების ვინაობა, მის საწესდებო კაპიტალში საკუთრებაში არსებული პროცენტი ან/და მისი ბენეფიციარი მფლობელების ვინაობა;

ii. სააგენტოს მონაწილეობით განხორციელებული პირველი ტრანზაქციიდან 14 დღის ვადაში: აგენტების რაოდენობა, რომლებიც ამავე სააგენტოს მეშვეობით ახორციელებენ საქმიანობას, და სააგენტოს ყველა თანამშრომლის სახელი; და

iii. მომხდარიდან 30 დღის ვადაში: სააგენტოსთან დაკავშირებით ადრე წარდგენილ ინფორმაციაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილებები.

3. საფეხბურთო აგენტი არ უნდა ჩაერთოს ან შეეცადოს შემდეგ ქმედებებში ჩართვა:

ა) დაუკავშირდეს, მოლაპარაკებებში შევიდეს, გადადგას ნაბიჯები, გაუწიოს შუამდგომლობა ან ნებისმიერი გზით ხელი შეუწყოს მხარეებს შორის მოლაპარაკებებს ტრანზაქციის თაობაზე (მათ შორის მედიებში განცხადებების გაკეთებით) ნებისმიერ ინდივიდთან დაკავშირებით, რათა წაახალისოს ინდივიდის მიერ შრომითი ხელშეკრულების საფუძვლიანი მიზეზის გარეშე ნაადრევად გაწყვეტა ან შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევა;

ბ) პირდაპირ ან ირიბად შესთავაზოს ან მიაწოდოს პირადი, მატერიალური ან სხვა უპირატესობა შემდეგ პირებს:

i. წევრი ასოციაციის, კლუბის ან ერთპიროვნული ლიგის ოფიციალურ წევრს ან თანამშრომელს, საფეხბურთო აგენტის მომსახურებასთან დაკავშირებით; ან

ii. ინდივიდს (ან ინდივიდის ოჯახის წევრს, სამართლებრივ მეურვეს ან მეგობარს), საფეხბურთო აგენტთან წარმომადგენლობითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

გ) კლიენტს დაუმალოს მატერიალური ფაქტები, მათ შორის და არა მხოლოდ:

i. არ განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ (იმ შემთხვევაშიც, თუ მსგავსი კონფლიქტი წინამდებარე დებულებებით დასაშვებია); ან

ii. არ გაამხილოს კლიენტისთვის (ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით) გაკეთებული წერილობითი შეთავაზება.

დ) პირდაპირ ან ირიბად აარიდოს თავი წინამდებარე დებულებებით დადგენილ ჭერს, მათ შორის და არა მხოლოდ, მომსახურების საფასურის განზრახ გაზრდით, რომელიც გადაიხადა ან უნდა გადაეხადა კლიენტს სხვა მომსახურებებისთვის.

ე) მიიღოს თანხა ორ კლუბს შორის ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებული ნებისმიერი სატრანსფერო თანხიდან ან წვრთნის გადასახადადიდან, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ფსტდ-ის 18ter მუხლში აღწერილი ნებისმიერი უფლებით.

ვ) პირდაპირ ან ირიბად ჩაერთოს ფსტდ-ში განსაზღვრულ ხიდ-ტრანსფერში, ან ფლობდეს ან გააჩნდეს უფლება ფეხბურთელების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რაც არღვევს ფსტდ-ის 18bis და 18ter მუხლებს.

ზ) სხვა ნებისმიერი ფორმით დაარღვიოს წინამდებარე დებულებები.

4. დეკლარირებასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით, აგენტმა უნდა:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს კლიენტს (კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით გაკეთებული) წერილობითი შეთავაზების შესახებ, რომელიც მან მიიღო კლიენტთან დაკავშირებით;

ბ) მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს კლიენტს შესაბამისი წარმომადგენლობის შეთანხმების ან სხვა სერვისებთან დაკავშირებული სხვა წერილობითი შეთანხმებების ასლი, შრომითი ხელშეკრულების ან სხვა წერილობითი საბუთების ასლი, რომელიც მიიღო ფეხბურთის აგენტის მომსახურებასთან დაკავშირებით, ასევე მისი მონაწილეობით განხორციელებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადახდების დეტალური განრიგი; და

გ) მოთხოვნის საფუძველზე ითანამშრომლოს ყველა წევრი ასოციაციის, კონფედერაციის ან/და ფიფა-ს შესაბამის ორგანოებთან ნებისმიერი ფორმით მოთხოვნილ ნებისმიერი სახის ინფორმაციასთან დაკავშირებით.

მუხლი **11.** მიმდინარე სალიცენზიო მოთხოვნებთან შესაბამისობა

1. თუ საფეხბურთო აგენტი ვერ შეძლებს:
   ა) დროის ნებისმიერ მომენტში დააკმაყოფილოს შესაბამისობის მოთხოვნები;
   ბ) პლატფორმაზე მითითებულ ვადაში გადაუხადოს ფიფა-ს ლიცენზიის წლიური საფასური;
   გ) კალენდარულ წელიწადში დააკმაყოფილოს უპგ-ის მოთხოვნები; ან
   დ) შეასრულოს ანგარიშგების ვალდებულებები;
   მისი ლიცენზია ავტომატურად იქნება დროებით შეჩერებული.
2. ფიფა-ს გენერალური სამდივნო არის პასუხისმგებელი ამ მუხლის პირველ პუნქტში მოყვანილი მოთხოვნების შესრულების გამოძიებაზე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების შემთხვევაში:
   ა) ფიფა-ს გენერალური სამდივნო აცნობებს აგენტს, რომ მათი აზრით არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ აგენტი ვერ აკმაყოფილებს შესაბამისობის მოთხოვნებს და მისი ლიცენზია ავტომატურად იქნება დროებით შეჩერებული; და
   ბ) საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა ფიფა-ს სადისციპლინო კომიტეტს.
4. 1-ელი პუნქტის „ბ“, „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტებში მოყვანილი გარემოებებიდან ერთ-ერთის ან მეტის მოქმედების შემთხვევაში:
   ა) ფიფა-ს გენერალური სამდივნო აცნობებს აგენტს მოთხოვნებთან მისი შეუსაბამობის და ლიცენზიის ავტომატური დროებითი შეჩერების შესახებ; და
   ბ) თუ საფეხბურთო აგენტი ლიცენზიის ავტომატური დროებითი შეჩერებიდან 60 დღის ვადაში ვერ გამოასწორებს მის მიერ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას, მას ჩამოერთმევა ლიცენზია.

თავი **IV** კლიენტის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი **12.** საფეხბურთო აგენტების გამოყენება

1. კლიენტმა:
   ა) შეიძლება გამოიყენოს საფეხბურთო აგენტი საფეხბურთო აგენტის მომსახურების შესასრულებლად იმ პირობით, თუ თავად არ განახორციელებს მსგავს აქტივობებს;
   ბ) უნდა გადაუხადოს საფეხბურთო აგენტს შეთანხმებული მომსახურების საფასური წინამდებარე დებულებებით დადგენილ ვადებში და შესაბამისი წარმომადგენლობის ხელშეკრულების, შრომითი ხელშეკრულების და სატრანსფერო ხელშეკრულების შესაბამისად.
   გ) წარმომადგენლობის ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა დარწმუნდეს, რომ საფეხბურთო აგენტი არის ფიფა-ს მიერ ლიცენზირებული;
   დ) უნდა ითანამშრომლოს ყველა წევრი ასოციაციის, კონფედერაციის და/ან ფიფა-ს შესაბამის ორგანოებთან მათი მხრიდან საფეხბურთო აგენტთან დაკავშირებულ საკითხებზე გაკეთებული მოთხოვნის შემთხვევაში;
   ე) შეიძლება მოთხოვოს საფეხბურთო აგენტს დეტალური განრიგი კლიენტის მიერ შესრულებული ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადახდების (მათ შორის, ანაზღაურების, გადასახადებისა და ხარჯების) თაობაზე;
   ვ) (კლუბებისთვის) მომხდარიდან 14 დღის ვადაში FIFA TMS-ის პლატფორმაზე უნდა ატვირთოს:
      i. TMS-ზე მოთხოვნილი ინფორმაცია ყველა იმ ტრანზაქციისშესრულების თაობაზე, რომელიც არის საერთაშორისო ტრანსფერი, სადაც ჩართულია კლუბი;
      ii. შესაბამისი წარმომადგენლობის ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან ხელშეკრულების გაწყვეტა;
      iii. ნებისმიერი ხელშეკრულება საფეხბურთო აგენტთან გარდა წარმომადგენლობის ხელშეკრულებისა, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება სხვა მომსახურებების თაობაზე შეთანხმებით, ასევე TMS-ზე მოთხოვნილი ინფორმაცია;
      iv. TMS-ზე მოთხოვნილი ინფორმაცია წარმომადგენლობის ხელშეკრულების გარდა საფეხბურთო აგენტთან გაფორმებული სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საფასურის გადახდის შესახებ.

   ზ) დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ფიფა-ს, კონფედერაციებს ან წევრ ასოციაციებს წინამდებარე დებულებების დარღვევის შესახებ.

2. კლიენტები (და მათი ოფიციალური პირები, ასეთების არსებობის შემთხვევაში) არ უნდა ჩაერთონ ან შეეცადონ შემდეგ ქმედებებში ჩართვა:
   ა) საფეხბურთო აგენტის მომსახურების გასაწევად გამოიყენონ ან დანიშნონ არალიცენზირებული პირი;

ბ) საფეხბურთო აგენტისგან მიიღონ ან მოითხოვონ შეუსაბამო პირადი, მატერიალური ან სხვა სახის სარგებელი;

გ) საფეხბურთო აგენტს (ან საფეხბურთო აგენტის ოჯახის წევრს, ან მასთან დაკავშირებულ სხვა პირს) პირდაპირ ან ირიბად მიაწოდონ, შესთავაზონ ან შეეცადონ ნებისმიერი ანაზღაურების ან დაპირების შეთავაზება გარდა შეთანხმებული მომსახურების საფასურისა;

დ) წევრი ასოციაციების, კლუბების ან ერთპიროვნული ლიგების სახელით ჩაერიონ ან გავლენა მოახდინონ ინდივიდის თავისუფლებაზე, შეარჩიოს საფეხბურთო აგენტი;

ე) პირადაპირ თუ ირიბად მონაწილეობა მიიღონ წინამდებარე დებულებებით დადგენილი მომსახურების საფასურის ჭერის გვერდის ავლაში;

ვ) ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გააჩნდეთ დაინტერესება სააგენტოს ან საფეხბურთო აგენტის საქმიანობაში;

ზ) წევრი ასოციაციების, კლუბების ან ერთპიროვნული ლიგების სახელით პირდაპირ ან ირიბად აიძულონ ან წაახალისონ ინდივიდი, დაარღვიოს მის საფეხბურთო აგენტთან გაფორმებული წარმომადგენლობის ხელშეკრულების პირობები;

თ) დაუყოვნებლივ არ აცნობონ ფიფა-ს წინამდებარე დებულებების ან ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების დარღვევის შესახებ;

ი) დაუშვან საფეხბურთო აგენტის ან სააგენტოს მიერ მათში დაინტერესების ქონა;

კ) ნებისმიერი სხვა სახით დაარღვიონ წინამდებარე დებულებები.

თავი V გასაჯაროვება და გამოქვეყნება

მუხლი 13. გასაჯაროვება/disclosure და გამოქვეყნება

1. ფიფამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს:

ა) ყველა საფეხბურთო აგენტის სახელი და დეტალები;

ბ) კლიენტები, რომლებსაც წარმოადგენენ საფეხბურთო აგენტები, მათი წარმომადგენლობის ექსკლუზიურობა ან არაექსკლუზიურობა, და წარმომადგენლობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

გ) თითოეული კლიენტისთვის გაწეული საფეხბურთო აგენტის მომსახურებები;

დ) საფეხბურთო აგენტსა და კლიენტზე დაწესებული ნებისმიერი სანქცია; და

ე) ყველა იმ ტრანზაქციის დეტალები, რომლებშიც ჩართული არიან საფეხბურთო აგენტები, მათ შორის საფეხბურთო აგენტებისთვის გადახდილი მომსახურების საფასურის ოდენობა.

თავი VI დავები

მუხლი 14. იურისდიქცია

1. საფეხბურთო აგენტისა და კლიენტისთვის მინიჭებული უფლებისთვის, მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს, ზიანის მიუყენებლად, საფეხბურთო ტრიბუნალის აგენტების პალატას აქვს იურისდიქცია შემდეგი დავების გადასაწყვეტად:
   ა) საერთაშორისო მასშტაბის მქონე წარმომადგენლობის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული დავები (იხ. ფიფა-ს საფეხბურთო აგენტების დებულებების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი);
   ბ) ტრიბუნალის მარეგულირებელი პროცედურული წესების შესაბამისად შემოსული საჩივრები; და
   გ) თუ დავის წარმომქმნელი მოვლენიდან არ გასულა ორ წელზე მეტი, ამ ვადის მოქმედება თითოეულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს ექს-ოფიციო.
2. დავების გადაწყვეტის დეტალური პროცედურები მოცემულია საფეხბურთო ტრიბუნალის მარეგულირებელ პროცედურულ წესებში.
3. საფეხბურთო აგენტისა და კლიენტისთვის მინიჭებული უფლებისთვის, მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს, ზიანის მიუყენებლად, სფფ-ის წესდებით განსაზღვრულ ტრიბუნალს, სადაც კლიენტი რეგისტრირებულია ან ბინადრობს წარმომადგენლობის შეთანხმების ხელმოწერისას, გააჩნია იურისდიქცია, გადაწყვიტოს საერთაშორისო მასშტაბის არმქონე დავები, რომლებიც წარმოიქმნება წარმომადგენლობის ხელშეკრულებიდან ან უკავშირდება მას (იხ. ფიფა-ს საფეხბურთო აგენტების დებულებების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).

თავი VII სადისციპლინო საკითხები

მუხლი 15. კომპეტენცია და აღსრულება

1. ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების, ფიფა-ს სადისციპლინო კოდექსისა და ფიფას ეთიკის კოდექსის თანახმად, ფიფა-ს სადისციპლინო კომიტეტს და, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებელი ეთიკის კომიტეტს გააჩნიათ სანქციების დაწესების კომპეტენცია საფეხბურთო აგენტსა თუ კლიენტზე, რომელიც არღვევს ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებებს, ფიფა-ს წესდებას ან ფიფა-ს სხვა ნებისმიერ დებულებას. ფიფა-ს გააჩნია იურისდიქცია:

ა) საერთაშორისო განზომილების მქონე წარმომადგენლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაზე (იხ. ფიფა-ს საფეხბურთო აგენტების დებულებების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი);

ბ) საერთაშორისო ტრანსფერთან ან საერთაშორისო ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

2. ფიფა-ს გენერალურმა სამდივნომ უნდა აკონტროლოს ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებებთან შესაბამისობის საკითხები, კერძოდ:

ა) ნებისმიერმა მხარემ, რომელიც მიიღებს ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნას, სრულად უნდა ითანამშრომლოს გონივრულ ვადებში მოთხოვნილი ნებისმიერი დოკუმენტის, ინფორმაციის ან სხვა მასალის წარდგენით, რომელიც მის საკუთრებაში იმყოფება, ან ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტის, ინფორმაციის ან სხვა მასალის შეძენითა და წარდგენით, რომელიც არ იმყოფება მხარის საკუთრებაში, თუმცა ხელმისაწვდომია მხარესთვის. ფიფა-ს გენერალური სამდივნოს აღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა გამოიწვევს ფიფა-ს სადისციპლინო კომიტეტის სანქციებს. ფიფა-ს გენერალური სამდივნოს მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტი (ან ამონარიდი) წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ, ფრანგულ ან ესპანურ ენაზე.

ბ) პლატფორმით, TMS-ით ან პლატფრომასა და TMS-ზე მხარეების მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება მიიჩნევა კომუნიკაციის ძალამოსილ საშუალებად და წარმოადგენს საკმარის საფუძველს დროის ზღვრების დასადგენად.

გ) ფიფა-ს სადისციპლინო კოდექსის თანახმად, ფიფა-ს გენერალურმა სამდივნომ გამოძიების საფუძველზე შეიძლება მიმართოს ფიფა-ს სადისციპლინო კომიტეტს ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებათა დარღვევების განხილვის თაობაზე.

დ) ფიფა-ს ეთიკის კოდექსის თანახმად, ფიფა-ს გენერალურმა სამდივნომ გამოძიების საფუძველზე შეიძლება მიმართოს ეთიკის დამოუკიდებელ კომიტეტს ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებებთან დაკავშირებული არაეთიკური ქცევის შემთხვევათა განხილვის თაობაზე.

3. სფფ-ის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის კომპეტენციაშია, დაუწესოს სანქციები საფეხბურთო აგენტს ან კლიენტს, რომლებიც არღვევენ წინამდებარე დებულებებს. სფფ-ს გააჩნია იურისდიქცია:

ა) საერთაშორისო განზომილების არმქონე წარმომადგენლობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაზე (იხ. ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი);

ბ) ეროვნულ ტრანსფერთან ან ეროვნულ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

4. სფფ-ის გენერალური სამდივნო აკონტროლებს მოცემულ რეგულაციებთან შესაბამისობას, კერძოდ:

ა) ნებისმიერმა მხარემ, რომელიც მიიღებს ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნას, სრულად უნდა ითანამშრომლოს გონივრულ ვადებში მოთხოვნილი ნებისმიერი

დოკუმენტის, ინფორმაციის ან სხვა მასალის წარდგენით, რომელიც მის საკუთრებაში იმყოფება, ან ნებისმიერი მოთხოვნილი დოკუმენტის, ინფორმაციის ან სხვა მასალის შეძენითა და წარდგენით, რომელიც არ იმყოფება მხარის საკუთრებაში, თუმცა ხელმისაწვდომია მხარესთვის. სფფ-ის გენერალური სამდივნოს აღნიშნული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას მოყვება სფფ-ის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის სანქციები. სფფ-ის გენერალური სამდივნოს მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტი (ან ამონარიდი) წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ბ) სფფ-ის მონაცემთა ბაზაში აგენტად რეგისტრაციისას დაფიქსირებული ელფოსტით, TMS-ით ან TMS-ზე მხარეების მიერ მითითებული ელფოსტით გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება მიიჩნევა კომუნიკაციის ძალამოსილ საშუალებად და წარმოადგენს საკმარის საფუძველს დროის ზღვრების დასადგენად.

გ) სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის თანახმად, სფფ-ის გენერალურმა სამდივნომ გამოძიების საფუძველზე შეიძლება მიმართოს სფფ-ის სადისციპლინო და დავების განმხილველ კომიტეტს წინამდებარე დებულებათა დარღვევების განხილვის თაობაზე.

დ) სფფ-ის ეთიკის კოდექსის თანახმად, სფფ-ის გენერალურმა სამდივნომ გამოძიების საფუძველზე შეიძლება მიმართოს სფფ-ის სადისციპლინო და დავების განმხილველ კომიტეტს წინამდებარე დებულებებთან დაკავშირებული არაეთიკური ქცევის შემთხვევათა განხილვის თაობაზე.

თავი **VIII** დასკვნითი დებულებები

მუხლი **16.** გარდამავალი დებულებები

1. წარმომადგენლობის ხელშეკრულებები, რომლებიც ძალაშია წინამდებარე დებულებების დამტკიცების თარიღისთვის და ვადა გასდით 2023 წლის 1 ოქტომბერს ან უფრო გვიან, მიუხედავად ისეთი შეთანხმებებისა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში მოცემულ მინიმალურ მოთხოვნებს, ძალაში რჩება (მაგრამ აღარ გახანგრძლივდება) ვადის ამოწურვამდე.
2. ნებისმიერი ახალი წარმომადგენლობის ხელშეკრულება, ან არსებული წარმომადგენლობის ხელშეკრულების განახლება, რომელსაც ადგილი აქვს წინამდებარე დებულებების დამტკიცების შემდგომ, 2023 წლის 1 ოქტომბრიდან უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე დებულებებს.

3. პირმა, რომელმაც გააფორმა ამგვარი წარმომადგენლობის ხელშეკრულება, უნდა მოიპოვოს ლიცენზია ფიფა-ს საფეხბურთო აგენტის დებულებების შესაბამისად, რათა 2023 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ გააგრძელოს საფეხბურთო აგენტის მომსახურების მიწოდება.

მუხლი **17.** განუხილავი საკითხები

1. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის განხილული წინამდებარე დებულებებში, უნდა გადაწყვიტოს სფფ-ის გენერალურმა სამდივნომ.
2. ფორსმაჟორული საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ წინამდებარე დებულებებზე, უნდა გადაწყვიტოს სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

მუხლი **18.** ძალაში შესვლა

1. წინამდებარე დებულებები დაამტკიცა სფფ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა 2023წ. 7 სექტემბერს და ძალაში შედის 2023წ. 1 ოქტომბერს. ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, კლიენტის ვალდებულება, ტრანზაქციებთან დაკავშირებით საფეხბურთო აგენტის მომსახურების მისაღებად გამოიყენოს მხოლოდ საფეხბურთო აგენტები (იხ. წინამდებარე დებულებების მე-5 მუხლი და ფიფა-ს აგენტების დებულებების მე-11 მუხლი) ვრცელდება ყველა ტრანზაქციაზე 2023 წლის 1 ოქტომბრიდან.
2. აქედან გამომდინარე, სფფ-ის შმდ ძალადაკარგული იქნება 01.10.2023-დან.

სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით:

ლევან კობიაშვილი პრეზიდენტი

დავით მუჯირი
გენერალური
მდივანი